# აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების წესი

EWUNI

აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი
დამტკიცებულია პრეზიდენტის № 01-12 ბრძანებით
თარიღი: 11 თებერვალი 2025

# სარჩევი


| | |
|---|---|
| მუხლი 1: ზოგადი დებულებები | 2 |
| მუხლი 2დოკუმენტის მიზანი | 2 |
| მუხლი 3პლაგიატის ფორმები | 2 |
| მუხლი 4.პლაგიატის თავიდან აცილების მიზნით განსახორციელებელი აქტივობები | 2 |
| მუხლი 5. პლაგიატის აღმოჩენისა და რეაგირების მექანიზმები | 3 |
| მუხლი 6. დასკვნითი დებულებები | 4 |
| მუხლი 7. . წესის დამტკიცება | 4 |

# 1. მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. აღმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი”) პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილებისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების წესი (შემდგომში - ,,წესი”) განსაზღვრავს პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილებისა და პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში რეაგირების მექანიზმებსა და პროცედურებს.

2. წინამდებარე წესის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, უნივერსიტეტის დებულება, უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი და სხვა კანონქვემდებარე აქტები.

# 2. მუხლი 2. დოკუმენტის მიზანი

1. წინამდებარე დოკუმენტის ძირითად მიზანს წარმოადგენს საუნივერსიტეტო სივრცეში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების განმტკიცება, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, პლაგიატის პრევენცია და მისი გამოვლენის ეფექტური მექანიზმების დანერგვა საუნივერსიტეტო სივრცეში.

# 3. მუხლი 3. პლაგიატის ფორმები

1. პლაგიატის ფორმები

ა) **პირდაპირი პლაგიატი:** სხვისი ინტელექტუალური შრომის შედეგის (ნაშრომის, იდეის, ფორმულის, გრაფიკული ნამუშევრის და სხვა) მითვისება წყაროს მითითების გარეშე;

ბ) **თვითპლაგიატი:** საკუთარი ძველი ნაშრომის ახლად წარმოჩენა წყაროზე მითითების გარეშე;

გ) **მოზაიკური პლაგიატი:** სხვადასხვა ავტორის ნაშრომებიდან ამოღებული ფრაგმენტების გაერთიანება ერთ ტექსტად, სადაც რთულია გარჩევა, რომელი ნაწილი ეკუთვნის კონკრეტულ ავტორს, მიუხედავად იმისა, რომ წყაროები მითითებულია ნაშრომის ბოლოს;

დ) **პარაფრაზირებული პლაგიატი:** სხვისი ნაშრომის გადმოცემა სინონიმების გამოყენებით, როდესაც ტექსტის ძირითადი აზრი და სტრუქტურა უცვლელი რჩება, წყაროს მიუთითებლად;

ე) **დაუდევრობით გამოწვეული პლაგიატი:** წყაროების არასრულად ან არასწორად მითითება უყურადღებობის გამო;

ვ) **პროგრამული მოდიფიკაცია:** ტექსტის სპეციალური პროგრამებით დამუშავება (მაგალითად, text spinner ან სათარგმნი პროგრამები) პლაგიატის აღმომჩენი სისტემების შეცდომაში შეყვანის მიზნით;

ზ) **კომპიუტერული კოდის პლაგიატი:** პროგრამული კოდის უნებართვო კოპირება ან მოდიფიცირება წყაროს მიუთითებლად;

თ) **წყაროზე დაფუძნებული პლაგიატი:** წყაროების შესახებ არასრული ან მცდარი ინფორმაციის მითითება, რაც შეუძლებელს ხდის მათ მოძიებას;

ი) **მონაცემთა პლაგიატი:** მონაცემების გაყალბება ან ხელოვნურად შექმნა, რაც საფრთხეს უქმნის მკვლევრის, დაწესებულების ან გამომცემლობის რეპუტაციას.

## 4. მუხლი 4. პლაგიატის თავიდან აცილების მიზნით განსახორციელებელი აქტივობები

1. პლაგიატის პრევენციის მიზნით უნივერსიტეტი ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

ა) უნივერსიტეტი ელექტრონული ანტიპლაგიატის პროგრამის მეშვეობით ამოწმებს სტუდენტების/აკადემიური პერსონალის ნაშრომებს;

ბ) რეგულარულად გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა სახის საინფორმაციო კამპანიებს, ტრენინგებს, სემინარებს, სამუშაო შეხვედრებს უნივერსიტეტის სტუდენტებთან, პერსონალთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან, მათთვის პლაგიატთან დაკავშირებულ საფრთხეებზე, რისკებსა და გამოწვევებზე ცნობიერების ამაღლების, პლაგიატის აღმოჩენის, პრევენციისა და მასზე რეაგირების მექანიზმების გაცნობის, ასევე აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული სიახლეების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

გ) უნივერსიტეტი უზრუნველყოფს გამოვლენილი არაკეთილსინდისიერი შემთხვევების გაცნობას პერსონალისთვის/ სტუდენტებისთვის ინდივიდუალურად.

## 5. მუხლი 5. პლაგიატის აღმოჩენისა და რეაგირების მექანიზმები

6. პლაგიატის გამოვლენისა და მასზე რეაგირების სისტემა უნივერსიტეტში ვრცელდება როგორც სტუდენტებზე, ისე აკადემიურ პერსონალზე.

7. სტუდენტების შემთხვევაში, პლაგიატის შემოწმების პროცედურა მოიცავს ყველა სახის აკადემიური ნაშრომის შემოწმებას ანტიპლაგიატის პროგრამით შემფასებლის მიერ, მათ შორის:

   - სასწავლო კურსის წერითი დავალება
   - რეფერატი
   - პროექტი
   - საბაკალავრო ნაშრომი
   - სამაგისტრო ნაშრომი
   - სამეცნიერო კონფერენციების მალასები
   - უნივერსიტეტის გამოცემებისთვის განკუთვნილი მასალები

8. თუ სტუდენტის ნამუშევარში (სასწავლო კურსის წერითი დავალება, რეფერატი, პროექტი, სამეცნიერო კონფერენციისა და უნივერსიტეტის გამოცემისთვის განკუთვნილი მასალა) შემოწმების შედეგად გამოვლინდება პლაგიატი, სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირი იღებს გადაწყვეტილებას ნაშრომის განულების შესახებ. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ლექტორმა სტუდენტს მიაწოდოს დეტალური უკუკავშირი აღმოჩენილ დარღვევებთან დაკავშირებით.

9. სტუდენტის მიერ მომზადებულ საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომს ანტიპლაგიატის პროგრამაზე ამოწმებს თემის ხელძღვანელი და ამზადებს ოფიციალურ საბოლოო დასკვნას წერილობითი ფორმით.

10. სტუდენტის მიერ მომზადებული სამაგისტრო ნაშრომი ანტიპლაგიატის პროგრამაზე შემოწმებამდე ეგზავნება რეცენზენტს შესაბამისი დასკვნის მოსამზადებლად;

11. სტუდენტის საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომში აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, ნაშრომი იგზავნება სტუდენტთან ხელახალი გადამუშავებისთვის ნაშრომის ჩასაბარებლად განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე, თუ ნაშრომის განმეორებითი შემოწმებისას შეფასება კვლავ უარყოფითია, მიიღება უარყოფითი გადაწყვეტილება მისი დაცვაზე დაშვების თაობაზე.

12. იმ შემთხვევაში, თუ პლაგიატის ნიშნები აღმოჩნდება სტუდენტის ნაშრომში კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ, დისციპლინური კომისია დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე შეისწავლის საკითხს. პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში, შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კვალიფიკაციის გაუქმების შესახებ.

13. აკადემიური პერსონალის შემთხვევაში, მათ მიერ მომზადებული ნაშრომები გამოქვეყნებამდე ეგზავნებათ რეცენზენტებს შესამოწმებლად და ასევე მოწმდება ანტიპლაგიატის პროგრამაში.

14. აკადემიური პერსონალის ნაშრომების რეცენზირების პროცესის ანონიმურობის დაცვის მიზნით, რეცენზენტისთვის უცნობია ნაშრომის ავტორის ვინაობა, ისევე როგორც ავტორისთვის უცნობია რეცენზენტის ვინაობა.

15. აკადემიური პერსონალის ნაშრომში დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, ნაშრომის შედეგების გაუქმებასთან ერთად, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, შეიძლება განისაზღვროს შემდეგი დისციპლინური სანქციები: მიეცეს გაფრთხილება, დაწესდეს სპეციალური მონიტორინგი მომავალ საქმიანობაზე, განთავისუფლდეს აკადემიური თანამდებობიდან.

16. სტუდენტს/აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს არ დაეთანხმოს მიღებულ გადაწყვეტილებას ნაშრომის გაუქმების შესახებ და გაასაჩივროს იგი უნივერსიტეტის „ეთიკის კოდექსი“-თ დადგენილი წესების მიხედვით.

## 17. მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

### a.

1. წინამდებარე წესი მტკიცდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით.

2. წინამდებარე წესის გაუქმება, მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით.

*"დამტკიცებულია"*

აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის პრეზიდენტი

**გიორგი ხუროძე**